

**ცხრილი №2**

**№ რისკ ფაქტორები**

1	ძლიერი სტიქიური მოვლენა (ქარიშხალი, შტორმი, დიდთოვლობა, კოკისპირული წვიმა)	შენობა მაქსიმალურად უნდა იყოს დაზღვეული სტიქიური უბედურებებისგან.
2	ძლიერი მიწისძვრა	შენობა უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედ სეისმურ ნორმებს და თუ შესაძლებელია უფრო მეტსაც
3	მეხის დაცემა შენობაზე	შენობაში გათვალისწინებული უნდა იყოს მეხამრიდი, რომლის დამიწებაც იქნება შენობისგან მოშორებით
4	ხანძარი შენობაში	შენობაში მოწყობილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და სასერვერეში ხანძრის გაზით ქრობის საშუალებები
5	ცრუ ან რეალური განგაში (შენობაში ბომბის არსებობის შესახებ)	განგაშის შემთხვევაში სწრაფი ევაკუაციის საშუალება
6	შენობაზე ფიზიკური შეტევის დიდი ალბათობა (შენობის დაბომბვა/განადგურება)	

**№ ვენტილაცია-გათბობა-კონდენცირება**

1	შენობის ვენტილაცია-გათბობა-კონდენცირება უნდა ხდებოდეს ჩილელების მეშვეობით, რომელიც სავარაუდოდ ყველა სართულზე უნდა იყოს დამოუკიდებელი, აგრეთვე ფანკოილები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ თანამშრომლებისკენ პირდაპირი ნაკადით არ იყოს მიმართული	სისტემა გათვილი უნდა იყოს ისევე როგორც ჩვეულებრივ საქართველოს კლიმატზე, ასევე ძლიერი ყინვის და სიცხის შემთხვევაშიც
2	გათბობა-კონდენცირება	შენობის გათბობა უმეტესად უნდა ხდებოდეს გარედან შემოდენილი ჰაერის მეშვეობით, რათა არ წარმოიქმნას უანგმადის ნაკლებობის პრობლემა.
3	სასერვერეს კონდენცირება	სასერვერეში უნდა იყოს ინდივიდუალური გაგრილების სისტემა,

**№ ელ-მომარაგება**

1	შენობის ელ-მომარაგება უნდა ხდებოდეს სარეზერვო ხაზებით. ელექტროენერგია უნდა მოეწოდებოდეს შენობას ორი სხვადასხვა ქვესადგურიდან, შესაბამისად საჭიროა ორი ტრანსპორმატორი, რომელთაგანაც ერთი იქნება სარეზერვო.	ეს საჭიროა იმისთვის, რომ რომელიმე ხაზის დაზიანების შემთხვევაში შენობას დიდხანს არ მოუწიოს გენერატორზე მუშაობა.
2	ტრანსპორმატორი	თითოეული ტრანსპორმატორიდან შენობას ელექტროენერგია უნდა მიეწოდოს ორი ერთმანეთთან დამოუკიდებელი კაბელით, რომელთაგან ერთი იქნება სარეზერვო.
3	გენერატორი	შენობისთვის საჭიროა ორი გენერატორი, რომელთაგან ერთი იქნება სარეზერვო და ტრანსპორმატორების მსგავსად გენერატორებიდანაც შენობა უნდა იკვებებოდეს ორი კაბელით, რომელთაგანაც ერთი იქნება სარეზერვო

4	UPS	შენობის ელ-მომარაგების უწყვეტობისთვის საჭიროა UPS, რომელიც უზრუნველყოფს გადართვების მომენტში ელექტროენერჯის უწყვეტობას.
---	-----	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**სუსტი დენები**

№	ადმინისტრაცია	
1	<p>მთელ შენობაში, ყველა სამსახურში თითო სამუშაო ადგილზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთი საკომუნიკაციო ჭა (ყუთი ზომით 30*30*30სმ მინიმუმ). ჭაში უნდა იყოს 4 ელ-როზეტი და 3 სუსტი დენის კაბელი.</p> <p>4 ელ-როზეტიდან 2 იქნება UPS-ზე და 2 ჩვეულებრივ დენზე.</p> <p>სუსტი დენის კაბელი უნდა იყოს მე-6 კატეგორიის ეზერნეტ კაბელი.</p> <p>ყველაზე ცუდ ვარიანტში NEXANS-ის ხარისხის</p>	
2	საწოლებში და სასადილოშო სარეზერვოდ დატოვილი უნდა იყოს ორი სუსტი დენის კაბელი არმსტრონგში, საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად.	
3	დაცვის ოთახში საჭიროა 4 ელ-როზეტი მონიტორების კედელზე, ყველა UPS-ზე.	
4	ყველა ოთახში გათვალისწინებული უნდა იყოს ორ საპირისპირო კედელზე ორი ელ-როზეტი და ერთი სუსტი დენის კაბელი ტელევიზორებისთვის.	

**VIP სათათბირო**

1	<p>შეხვედრების ოთახებში მაგიდის ერთ მხარეს უნდა მოეწყოს 2 ელ-როზეტი პროექტორის ეკრანისთვის. აგიდა უნდა იყოს საკონფერენციო (რომელსაც შუაში ექნება ჭრილი კომუნიკაციისთვის), მაგიდის ქვევით მოწყობილი უნდა იყოს ჭა, სადაც იქნება 4 ელ როზეტი და 3 სუსტი დენის კაბელი. მაგიდის ზევით ჭერში (შუაში) საჭიროა მოეწყოს კრონშტეინი პროექტორისთვის, 1 ელ-როზეტი და ერთი სუსტი დენის კაბელი, რომელიც შეუერთდება მაგიდი ქვევით არსებულ ჭას.</p> <p>ყველაფერი UPS-ზე</p>	
2	აგრეთვე უნდა იყოს 2 კაბელი საიდანაც ერთი იქნება HDMI და მეორე VGA, რომელიც ასევე უნდა უერთდებოდეს საკონფერენციო მაგიდას.	

**საკონფერენცი**

1	<p>საკონფერენციო ოთახებში მაგიდის ერთ მხარეს უნდა მოეწყოს 2 ელ-როზეტი პროექტორის ეკრანისთვის. მაგიდა უნდა იყოს საკონფერენციო (რომელსაც შუაში ექნება ჭრილი კომუნიკაციისთვის), მაგიდის ქვევით მოწყობილი უნდა იყოს 4 ჭა, სადაც იქნება 4 ელ როზეტი და 3 სუსტი დენის კაბელი. მაგიდის ზევით ჭერში (შუაში) საჭიროა მოეწყოს კრონშტეინი პროექტორისთვის, 1 ელ-როზეტი და ერთი სუსტი დენის კაბელი, რომელიც შეუერთდება მაგიდის ქვევით არსებულ ჭას. ასევე მაგიდაზე ყველა ადგილზე მოწყობილი უნდა იყოს მიკროფონი და ჭრში 4 დინამიკი განაწილებული მთელ ოთახზე. ყველაფერი UPS-ზე</p>	
2	აგრეთვე პროექტორის ეკრანთან საჭიროა მოეწყოს სამუშაო მაგიდა ერთ მხარეს, სადაც განთავსებული იქნება 2 ჭა ოპერატორების მსგავსად. (ერთში 8 ელ-როზეტი, მეორეში 4 ელროზეტი და 5 სუსტი დენის კაბელი	

№

**სასერვერე**

1	სასერვერეში გათვალისწინებული უნდა იყოს ტექნიკური იატაკი (ფარშპოლი)	ამასთან სასერვერეში ფარშპოლი გათვლილი უნდა იყოს დიდ წონაზე. შესაბამისად უნდა იყოს მყარი და გარკვეული სიმძიმის დადგმის საშუალებას უნდა გვაძლევდეს.
2	სასერვერეს კედლები, თავისი ტექნიკური ოთახით მთლიანად უნდა იყოს მყარი. (ბლოკით ან აგურით ნაშენები)	
3	სასერვერეში საჭიროა მოეწყოს ხმის იზოლაცია, ამორტიზაცია და თერმოიზოლაცია	
4	სასერვერეში უნდა მოდიოდეს 3 ფაზა თავისი ნოლით, აგრეთვე უნდა მოდიოდეს შესაბამისი ოპტიკის კაბელი ყველა სართულიდან	
5	სასერვერედან ყველა სართულზე დამოუკიდებლად მიყვანილი უნდა იყოს საკომუნიკაციო კარადაში ოპტიკა.	

№

**საოპერატორო**

1	საოპერატოროში გათვალისწინებული უნდა იყოს ტექნიკური იატაკი (ფარშპოლი)	
2	საოპერატოროში დიდი მონიტორის ადგილმდებარეობა	კონსტრუქციის მიხედვით
3	საოპერატოროს მოპირკეთება უნდა მოხდეს ისეთი მასალით, რომელსაც არ ექნება ექო და მასალისთვის დამახასიათებელი იქნება ხმის ჩახშობა.	ეს საჭიროა იმისთვის, რომ ოპერატორებმა ერთმანეთს არ შეუშალონ ხელი მუშაობაში
4	საოპერატოროსთვის გათვალისწინებული უნდა იყოს მზისგან დამცავი საშუალება	საოპერატოროს დიობებს მზის სხივები პირდაპირ არ უნდა ხვდებოდეს.
5	ეკრანის უკან ტექნიკურ ოთახში უნდა მოეწყოს საკომუნიკაციო კარადა (რეკი), რომელიც ოპტიკური კაბელით დაკავშირებული იქნება სასერვერესთან. აგრეთვე ოპტიკური კაბელი უნდა იყოს დარეზერვებული ცალკე დამოუკიდებელი ოპტიკით. რეკიდან უნდა ხდებოდეს კაბელების განაწილება ოპერატორების მაგიდების ქვეშ მოწყობილ ჭებში.	
6	საოპერატოროში თითოეული სამუშაო მაგიდის ქვეშ საჭიროა 2 ჭა. აქედან ერთში უნდა იყოს 8 ელ-როზეტი და მეორეში უნდა იყოს 4 ელროზეტი და 5 სუსტი დენის კაბელი. ყველაფერი საჭიროა იყოს UPS-ზე	

№

**უსაფრთხოების ნორმები**

1	გარე პერიმეტრი მთლიანად უნდა კონტროლდებოდეს კამერებით, შლაგბაუმები, ავტოსადგომები.	
2	შენობის შიგნით კამერებით უნდა კონტროლდებოდეს მისაღები, ყველა დერეფანი, სასადილო, საწყობები, საოპერატორო და მისი შესასვლელი, სასერვერე და მისი შესასვლელი.	
3	შენობაში შესვლა უნდა ხდებოდეს: თანამშრომლებისთვის ცალკე ტურნიკეტის მეშვეობით, სტუმრებისთვის საშეით და ცალკე ტურნიკეტით	
4	საოპერატოროში შესასვლელი კარები უნდა კონტროლდებოდეს თითის ანაბეჭდით შიგნიდანაც და გარედანაც (კარი უნდა იღებოდეს თითის დაჭერით).	
5	სასერვერეში შესასვლელი კარები (I კარი და უშუალოდ სასერვერეს კარი) უნდა კონტროლდებოდეს ციფერბლატით(კოდით) ან სხვა დაცვის საშუალებით	პროექტის შედგენისას მოგაწოდებთ დეტალურ ინფორმაციას.